საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლუციური პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 308

სამშაბათი, ოქტომბრის 3

1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

მწუხარებით აღსავსენი ფატი გოკიელი, ნინო ვაჩნაძე, ისმაილ ხეცურიანი, დადაში გელოვანი და დემნა შენგელაია აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს ძვირფასი და საყვარელი მეგობარის

მიშა მეუნარგიას

ტრაღიკულად გარდაცვალებას.

№ 319 1=1

დედა ანნა დავითის ასული, ძმები: ალვა, ავთანდილი და ბიძინა, და მარიამი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 3 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე გადახდილი იქნება ორი წლის წირვა და პანაშვიდი

დავით (ბოზრა) კანდელაკის

სულის მოსახსენებლად წმ. იოანე ღვთის მეტყველის ეკლესიაში, ყორღანოვის ქუჩა.

№ 320

დიდათ დამწუხრებული გიორგი გამყრელიძე და გრიგოლ ლასკარი აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს საყვარელი მეგობრის, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის

მიშა მეუნარგიას

ტრაღიკულად დაღუპვას, რომლის დაკრძალვა დანიშნულია დღეს, ოქტომბრის 3-ს სოფ. ცაიშში.

## საქართველოს წითელი არმიისათვის

„ამხანაგებო! თუ თქვენ გინდათ იყოთ ისეთი ქვეყანა, რომელიც მიდის წინ, თქვენ უნდა შექმნათ საქართველოს მძლავრი წითელი არმია. თქვენ ეს უნდა შესძლოთ, რათა არ უნდა დაგეჯდეთ, მე აქეთ თქვენ მოგიწოდებთ თქვენ...

გაუმარჯოს საქართველოს წითელ არმიას".

სერგო ორჯონიკიძე.

ეს სიტყვები ამხ. სერ. ორჯონიკიძემ საქართველოს საბჭოების პირველ ყრილობაზედ წარმოსთქვა, რომელსაც ირჩეოდა წითელი არმიის შექმნის საკითხი. ს. ორჯონიკიძის სიტყვასა და მის მოწოდებას ქართული მძლავრი წითელი ლაშქრის შექმნის შესახებ მთელი დარბაზი აღტაცებით და ფეხზედ ადგომით შეხვდა. ამხ. ორჯონიკიძემ საქართველოს წითელი არმიის შექმნის საკითხი ყოველის მხრით განიხილა, ასწონ-დაასწორა იგი რევოლუციონური ვითარებისა და სახელმწიფოს არსებობის ინტერესების მიხედვით და აუცილებელ საჭიროდ დაინახა ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის რევოლუციონური არმიის არსებობა. ზედმეტი არ იქნება ჩვენს მკითხველ საზოგადოებას და საბჭოთა მოღვაწეებს მოვაგონოთ ის ადგილი ამხ. ორჯონიკიძის სიტყვებიდან, რომელიც ამ საკითხს ეხებოდა; ორატორი ყრილობას მიჰმართავდა: „ის კაცი, რომელიც ვერ მოუვლის თავის სახლს, თავის ოჯახს; ის კაცი, რომელიც ვერ დაიცავს თავის ოჯახს მტაცებლობისა და ყაჩაღობისაგან, ასეთი კაცი არ ვარგა. იგივე ითქმის ერისა და სახელმწიფოზედაც, იმაზე ლაპარაკი, რომ საქართველო მშვენიერი ერია და მშვენიერი ქვეყანაა, ეს არავისთვის საჭირო არ არის, ეს ლაყბობაა. წითელ ჯარს უნდა მივცეთ პური, კარგი ტანსაცმელი და კარგი ბინა, მას უნდა მივცეთ ჩვენი საუკეთესო შვილები და თუ თქვენ ამას იზამთ, თქვენ გეყოლებათ წითელი არმია, საქართველო იქნება დამოუკიდებელი სახელმწიფო. და თუ თქვენ ამას არ იზამთ, თქვენ დაწყევლილი იქნებით მთელი ქვეყნის მშრომელი მასებისაგან". (იხ. ყრილობის ოქმები გვ. 201).

საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ, რომელიც უზენაესი ორგანოა ჩვენი მშრომელი ხალხისა და რომლის გარშემო თავს იყრის სრულიად საქართველოს ყოველი კუთხის მუშა-ხალხის წარმომადგენელნი, ერთხმად ფეხზედ ადგომით მიიღო ორატორის წინადადება და დაადგინა დაუყოვნებლივ შექმნას საქართველოს წითელი არმია. ორჯონიკიძის გამოთქმა: „თუ თქვენ გეყოლებათ წითელი არმია, თქვენ იქნებით დამოუკიდებელი სახელმწიფო", მთელმა ყრილობამ თავისი პრაქტიკული პოლიტიკის საგნად გახადა და თავის წრიდან გამოყოფილ ცენტრალურ აღმასკომს დაავალა საქართველოს მძლავრი წითელი არმიის შექმნა. საქართველოს ყრილობას არ სურდა და წყევლილი ყოფილიყო მთელი ქვეყნის მშრომელ მასებისაგან და თავის ტერიტორიაზედ მოისურვა შექმნა ისეთი არმია, რომელიც მედგრად დაიდგებოდა რევოლუციონური პროლეტარიატის რიგებში და თავდადებით დაიცავდა ერისა და სოციალიზმის საქმეს.

ამ გვარად საქართველოს წითელი არმიის შექმნის საკითხი საბჭოების ყრილობამ თავიდანვე დადებითად გადასწყვიტა და მშრომელი ხალხის ამ უმაღლეს ორგანოს დადგენილების გადასინჯვა, რევიზია, ან მისი რადიკალურად შეცვლა არავის არ აქვს. უმაღლესი ორგანოს დადგენილება ყოველგვარ პირობების გარეშე გატარებული უნდა იქმნეს ცხოვრებაში. ჩვენი ერისა და მშრომელი ხალხისათვის სხვა ორგანო არ არსებობს, არც შეიძლება არსებობდეს საქართველოში, ვგონებ ჩვენ ვართ დამოუკიდებელი ერთეული, როგორც არის სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობა. ამ ყრილობის დადგენილება ჩვენთვის ყოველთვის სავალდებულო უნდა იყოს და პირწმინდათ უნდა გავატაროთ ცხოვრებაში.

ზოგიერთებს ეჭვი დაებადათ იმ მხრივ, რომ საქართველო ერთი ფედერანტია ამიერ-კავკასიის ფედერალური რესპუბლიკისა და ასეთს პირობებში შეუძლებელი არის ცალკე რესპუბლიკების წითელი არმიის შექმნა. თავის დროზედ ამ საკითხზედაც მოაქციეს ყურადღება იმავე ყრილობაზედ და ფედერალიზმის პრინციპი გარკვევით შეუფარდეს რესპუბლიკებში წითელი ჯარების არსებობა. ამხ. მამია ორახელაშვილმა, რომელიც გამოვიდა მოხსენებლად ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ, სხვათა შორის ამ ფედერაციის კონსტრუქციის გამოსარკვევად განაცხადა შემდეგი: „დამოუკიდებლობა ერთის მხრივ და გაერთიანება მეორეს მხრივ სახელმწიფო აპარატებისა რამდენიმე დარგში, ეს არის ჩვენი ფედერაციის შინაარსი; და ამიტომაც ჩვენი ფედერაცია სრულებითაც არ ნიშნავს დამოუკიდებლობის მოსპობას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღარ იარსებებს საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ყველა ეს რესპუბლიკები ნებაყოფლობით შედიან კავშირში ხსენებულ სახელმწიფოებრივ დარგების გარშემო. ეს გაერთიანება ხდება საერთო მტრის წინააღმდეგ და არავითარს შემთხვევაში არ ნიშნავს დამოუკიდებლობის მოსპობას"... ჯარის საკითხის შესახებ ამხ. ორახელაშვილმა სთქვა:

„ჩვენ უნდა გავაერთიანოთ წითელი ჯარი ერთ ხელმძღვანელ ორგანოს ქვეშ. მართალია, იქნება იარსებებს სომხეთის, საქართველოს და აზერბეიჯანის ჯარი, მაგრამ მათი ხელმძღვანელი ორგანო ერთი უნდა იყოს" (იქვე 39—40) ამხ. მ. ორახელაშვილის ეს დებულებანი დაუდვა საფუძვლად ამიერ-კავკასიის ფედერაციის კონსტრუქციას ჩვენმა პირველმა ყრილობამ; მთელი მოხსენება სახელმძღვანელოდ უნდა გვემსახურა იმ დაკავშირების საქმეში, რომელიც რეალურად უნდა განეხორციელებინათ ფედერაციის შემქმნე ერების აღმასკომებს.

და უნდა გადაჭრით განვაცხადოთ, რომ ყოველივე ეს მოსაზრებანი, რომელიც გამოთქმული იყო ამხ. ორახელაშვილის მოხსენებაში, საფუძვლად აგებული იყო ფედერალიზმის პრინციპზედ. პრინციპიალურად ამ დებულების წინააღმდეგ შეუძლებელი არის რაიმე საწინააღმდეგო დებულების წამოყენება. ვინაც სურს ფედერაცია და ერთა შორის კავშირის დამყარება, მან ამ ნიადაგზედ უნდა ააგოს ეს დამოკიდებულება. ახლა დამოკიდებულება კი შეუძლებელი არის, თუ არ იქმნა დაცული ერების სახელმწიფოებრიობა და მათი სუვერენობა. ერის წარმატების მთავარი ფაქტორი არის შესაფერი პოლიტიკური აპარატის ქონა. ფედერალიზმი არ უარყოფს ასეთი პოლიტიკური აპარატის არსებობას, წინააღმდეგ, ის უფრო ამტკიცებს და ამაგრებს მას. მეორეს მხრით შეუძლებელია კავშირის არსებობა, თუ არ იქმნა მთლიანობა და ერთიანობა შესაფერის დარგებში. საკითხის მთავარი ძარღვი სწორედ აქ არის ჩამარხული. ჩვენს დღევანდელს ვითარებაში სადაო და გადაუჭრელი შეიქმნა ის ფორმა და მეთოდი დაკავშირებისა, რომელსაც უნდა მიჰმართოს მოკავშირე სახელმწიფოებმა სახელმწიფო დარგების გაერთიანების დროს. ბევრმა ფედერაციას ისეთი მახინჯი სახე მისცა, რომ სავსებით აცლის ხელიდან ცალკე ერებს სახელმწიფოს ატრიბუტებს დ თავს უყრის ფედერალურ საბჭოს ხელში. ჩვენმა საბჭოების ყრილობამ ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენებით გარკვევით მოხაზა ამ დაკავშირების ფორმები და ის მეთოდები, რომელსაც უნდა მიჰმართონ ამიერ-კავკასიის ერებმა. ამ დებულებებით ამიერ-კავკასიის ფედერაციის კონსტრუქცია აგებული უნდა ყოფილიყო ცალკე რესპუბლიკების დამოუკიდებლობის დაცვით, გაერთიანებული დარგების მხოლოდ საერთო ხელმძღვანელობა უნდა გადასცემოდა ფედერალურ საბჭოს, ხოლო მისი ცხოვრებაში გატარება და რეალური განაღდება ცალკე რესპუბლიკების სახელმწიფო აპარატებსა და სათანადო განყოფილებებს.

ჯარის საკითხშიაც ასეთი პრინციპიალური ხაზი იქმნა მიღებული და ცალკე რესპუბლიკების წითელი არმიის მხოლოდ ხელმძღვანელობა უნდა გადასცემოდა საერთო ორგანოს. ამ დებულების მიხედვით, ჩვენს აღმასკომს უნდა დაეცვა ქართული ჯარის შექმნის აუცილებლობა და ცხოვრებაში გაეტარებინა ის დებულება, რომელიც სახელმძღვანელოდ გადასცა მას ყრილობამ.

ეს პრინციპიალური მოსაზრებანი დღეს ჩვენ უნდა გავიხსენოთ და არ უნდა დავივიწყოთ; ეს უნდა გაიხსენოს აღმასკომის სესიამაც და მოსთხოვოს თავის პრეზიდიუმს ცხოვრებაში გაატაროს ის, რაც სახელმძღვანელოდ დაუსახა მას ჩვენმა უმაღლესმა ორგანომ.

საქართველოს წითელი ჯარი უნდა შეიქმნეს და განმტკიცდეს. ჩვენი დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობა და მისი წარმატება შეუძლებელი იქნება, თუ ჩვენ არ შევქმნით მძლავრი წითელი არმია და არ გავხდით იგი ერის მთავარ დამცველ ფაქტორად.

ს. დევდარიანი.

## სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასკომის სესია

სესიას 2 ოქტომბერს, დილის 12 საათზე ხსნის ცენტრ. აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ფილ. მახარაძე, პირველათ თავმჯდომარე ესალმება სხდომაზე დამწრე ამხ. მიხ. ცხაკაიას, რომლის გამოჩენას სხდომა ტაშის ცემით ხვდება: მიხ. ცხაკაია მისალმების საპასუხო სიტყვით უპასუხებს და სხდომას ესალმება კომინტერნის აღმასკომის სახელით. ცხაკაია აღნიშნავს საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო და საშინაო მდგომარეობას და ამბობს, რომ 5 წლის საშინელი ბრძოლის განმავლობაში საბჭოთა რესპუბლიკებმა შესძლეს გამკლავებოდნენ იმ მრავალ რიცხოვან მტერთ, რომელნიც ებრძოდენ რუსეთის რევოლუციას. დღეს საგარეო ფრონტი სანახევროთ ძოხ სნილი არის და მუშაობა გამართულია შინაურ, ეკონომიურ ფრონტზე და ჩვენ გვწამს, რომ ამ მხრით ჩვენ ნამდვილი გეზი გვაქვს აღებული, რომ ამ მხრითაც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება უზრუნველყოფილია. ჩვენ გვაქვს მესამე მომენტი,—ფრონტი იდეოლოგიისა, ახალგაზრდათა აღზრდისა და პრესის საქმე. ამ მხრით, ვინც კი მოისურვებს შეადაროს ადგილობრივი და დასავლეთ ევროპის ვითარება, მათთვის ნათელი გახდება ის უპირატესობა, რომლითაც აღჭურვილი არის საბჭოთა ქვეყნების პროლეტარული და იდეოლოგიური მუშაობა. ასეთ დროს ჩვენი პარტიის მოვალეობაა, დარჩეს მტკიცე მცირე უმცირესობაში, მაგრამ გარს შემოიკრიბოს ფართო მასსები, მშრომელთა წრეები, რომელთაც შეგნებული ექნებათ, რომ მათი ინტერესები და კეთილდღეობა მშრომელთა ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. გისურვებთ, დაათავა ორატორმა, რომ პირნათლად შეგესრულებიოთ ის მოვალეობა, რომელიც დაკისრებული გაქვთ ხალხისა და რევოლუციისაგან.

თავმჯდომარე აცნობს სხდომას დღის წესრიგს, რომელიც უცვლელათ იქნა მიღებული. ამის შემდეგ მიღებულ იქნა რეგლამენტი, რომლის ძალითაც სხდომები იმართება მხოლოდ დილით 10—3 საათამდი. არჩეულ იქნა კომისიები, რომელთაც გადაეცემათ სესიის დღის წესრიგში წამოყენებული პროექტები განსახილველათ და წარსადგენათ. სულ არჩეულ იქნა 5 კომისია შემდეგ საკითხების განსახილველათ: 1) თემის და სამაზრო აღმასკომების რეორგანიზაციის შესახებ, 2) მიწათ მოქმედების დებულების შეცვლის შესახებ, 3) იურიდიული ხასიათის (სისხ. სამართლის კოდექსის, პროკურატურის, ადვოკატურის) პროექტების, 4) გადასახადის სისტემის და 5) ადმინისტრატიული ცენტრების გადატანის საკითხების განსახილველათ.

ამის შემდეგ სხდომა დახურულ იქნა დღის 1 ნახ. საათზე. შემდეგი სხდომა რეგლამენტით დანიშნულია სამშაბათს, 3 ოქტომბერს დილის 10 საათისთვის.

## ორი ფრონტი

ყოველ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას ორი უმთავრეს ფრონტზედ უხდება მუშაობა. ეს ფრონტებია—სოციალ-პოლიტიკური და კულტურული ფრონტი.

ეს ორი ფრონტი მიუცილებელი და თავიდან მოუშორებელი ფრონტია სახელმწიფოსათვის. ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შესძლებს არსებობას, თუ იგი ამ ორ ფრონტზედ ვერ გამაგრდება.

ეს ორი ფრონტი იმდენად დაკავშირებულია ერთმანეთთან, რომ არც შეიძლება მათი განცალკევება, მათი დაშორება.

შეუძლებელია სოციალ-პოლიტიკური რენესანსი კულტურულ შემოქმედების გარეშე, როგორც შეუძლებელია კულტურული შემოქმედება სოციალ პოლიტიკური დეკადანსის დროს.

ისტორიულად ეს ორი ფრონტი ყოველთვის მჭიდროდ ყოფილა დაკავშირებული და მით უფრო დღეს წარმოუდგენელია სოციალ პოლიტიკური აღორძინება, კულტურული პროგრესის მიღება, რადგან დღეს მატერიალი რესურსების დაგროვება და საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლა მარტო მუშის მკლავებითა და შიშველი ხელებით კი არ სწარმოებს, არამედ მეცნიერული ცოდნა და აღმოჩენა იჭრება მეურნეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, რომელიც ჰქმნის სოციალური და პოლიტიკური განვითარების პირობებს.

საბჭოთა რესპუბლიკებისათვის მეტად მწვავედ და მტკივნეულად ისმის ამ ორი ფრონტის საკითხი, რადგან გარეშე ორივე ფრონტებზედ გამაგრებისა შეუძლებელია სოციალური გარდაქმნა და ახალი ურთიერთობის დამყარება.

საბჭოთა რესპუბლიკებმა გაიმარჯვა კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ და მან შესძლო თავისი არსებობის შენარჩუნება მედგარი, რევოლუციური ომით, მაგრამ დღეს იწყება მეორე ფრონტი სოციალ-ეკონომიური და კულტურული შემოქმედების.

უნდა გამოვტყდეთ, რომ ამ ფრონტზედ ბრძოლა მუშათა კლასისათვის უფრო საძნელო და უფრო ძნელია, ვიდრე რევოლუციონურ ფრონტზედ ბრძოლა.

სოციალური უკუღმართობის გამო, ბურჟუაზიამ მოახდინა არა მარტო საწარმოო ძალების მონოპოლიზაცია, არამედ მან სწავლა-განათლების, მეცნიერების მონოპოლიზაცია შესძლო და მხოლოდ თავის შვილებისათვის გახსნა მეცნიერების ტაძრის კარები. ამდენათვე იგი გაბატონდა, როგორც ეკონომიურად და პოლიტიკურად, აგრეთვე თავის ბატონობას დაუმორჩილა მეცნიერებაც და დღესაც ევროპის უნივერსიტეტში ბურჟუაზიული სულისკვეთება მეფობს, ბურჟუაზიული აზრი ბატონობს.

მუშათა კლასს, გამარჯვებულს ხმლით ბრძოლაში, დღეს სჭირდება ბრძოლა კულტურულ ფრონტზედ და იგი უნდა გამოვიდეს გამარჯვებული წიგნით ხელში.

კომუნიზმი, სოციალიზმი და სხვა მაღალი მცნებანი მხოლოდ კულტურის ზრდისა დ განვითარების შედეგი იქნება, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ბურჟუაზიული კულტურა შექმნის ამ ნიადაგს და კაპიტალიზმი თვითმკვლელობით დაასრულებს თავის არსებობას. ამიტომ მუშათა კლასს ორი იარაღი უნდა ეპყრას ხელში—ხმლით იგი უნდა კაფავდეს გზას ბურჟუაზიული ბატონობისაგან, ხოლო ცოდნით უნდა აშენებდეს ახალ სოციალურ ურთიერთობას.

ამ მხრით განსაკუთრებული მდგომარეობაა ჩვენში შექმნილი. კულტურულად ჩვენ განვითარებას მრავალი ისტორიული სიდუხჭირე უშლიდა ხელს და დღეს დიდი კულტურის მქონე ერი, თითქმის ხელახლა ვიწყებთ კულტურულ აღორძინებას.

სოციალ-პოლიტიკურადაც ჩვენი განმტკიცება პირდაპირ დამოკიდებულებაში იქნება ჩვენს კულტურულ აღორძინებასთან, რადგან ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის რაციონალი უტილიზაცია უტყუარი გარანტიაა ჩვენი აღორძინებისა ყოველ დარგში და ყოველ სფეროში.

ამიტომ ჩვენი უმთავრესი ფრონტი დღეს კულტურის ფრონტი უნდა იყოს.

თუ დიდ ერს, დიდ სახელმწიფოს მპყრობელობითი პოლიტიკით, იმპერიალისტური მტაცებლობით შეუძლია თავის ნაციონალური აღორძინება და გარეშე საფრთხის აცილება, პატარა ერის ენერგია უმეტესად კულტურული [ენერ]გია უნდა იქნეს, იგი კულტურით უნდა უმკლავდებოდეს არსებობისათვის გამართულ ბრძოლას.

ჩვენ ვერ გვიხსნის ვერც მსროლელის იარაღების გაუმჯობესება და ვერც პატრიოტული სანტიმენტალიზმი, არამედ ჩვენი ხსნა ეროვნული კულტურის განვითარებაში მარხია.

როგორც ვიცით, საუკუნის მონობამ ამ მხრივ დიდი დეფიციტის წინაშე დაგვაყენა. ნახევრად გადაგვარებული ქართველი ინტელიგენტი, მიუხედავად მისი შოვინიზმისა, არსებითად არ წარმოადგენა, გარეშე სახელმწიფოს მფარველობისა, ვერ უწევს კონკურენციას რუსულ ენას და კიდეც ცდილობს დაწყებული დენაციონალიზაციის წინაშე.

პასუხისმგებელნი პირნიც ვერ იჩენენ ამ მხრივ სათანადო უნარს და თვით არღვევენ ქართული ენის სახელმწიფოებრიობას. ქართული წიგნი უკვე მაღლა სდგას თავის სიმაღლეზე, სწავლა-განათლების საქმე დიდია და სერიოზულ კრიზისს განიცდის.

ყოველივე ეს მეტად ცუდ ნიადაგს ქმნის ჩვენი კულტურული აღორძინებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლება დიდს ენერგიას, დიდ უნარს იჩენს ეკონომიური შემოქმედების სფეროში. ამ მხრით მაქსიმუმი კეთდება იმის, რის გაკეთებაც ობიექტიური პირობებში შესაძლებელია, მაგრამ იგი მეტად სუსტი გამოდგა ჯერ ჯერობით კულტურის მფარველობისა და მისი ხელისშეწყობის საქმეში.

ეკონომიური აღორძინება კი კულტურული აღორძინების გარეშე ცნებაა. მაგენს ქართველის ტიპს, ქართული კულტურის მახურს. ამ მხრით ჩვენი განვითარება დიდი დაბრკოლების წინ სდგას.

ამას უნდა დაემატოს ხელოვნური დაბრკოლებანი, რომელიც წინ ეღობება ჩვენი აღორძინების საქმეს.

რუსულ კულტურას მეტად დიდი გასაქანი აქვს დღეს ჩვენში. იგი თანდათან იპყრობს ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების მთელ სფეროებს. ქართული რთველია შესაძლებელია ოდნავი წინსვლა, მაგრამ ეს პალიატიური ზომაა, ეფემერული და წარმავალი შედეგების მომცემი.

სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასკომმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას, მან უნდა შექმნას პირობები ჩვენი კულტურული ხერხემლის გამაგრებისათვის.

ქართველ ხალხს უფლება აქვს მოსთხოვოს თავის ხელისუფალთ მისი ეროვნული კულტურის მფარველობა, მას უფლება აქვს ქართული ენის ბატონობისათვის ბრძოლისა და ამ უფლებას მას ვერავინ ვერ წაართმევს.

ქართველმა ხალხმა ორივე ფრონტზედ უნდა იმუშაოს თავდადებით და სოციალ-პოლიტიკურ გარდატეხას უნდა მოყვეს კულტურული გარდატეხაც, რომელმაც რენესანსის ეპოქა უნდა შექმნას ჩვენი კულტურის ისტორიაში.

კულტურა, რევოლიუცია, მეცნიერება, სოციალიზმი ერთიერთ შორის მჭიდროდ დაკავშირებული ცნებანია და შეუძლებელია რომელიმე მათგანის იზოლიაცია იმის მიერ, ვინც მიზნად ისახავს საზოგადოების სამართლიან საფუძველზე გარდაქმნას.

ამიტომ ორივე ფრონტზედ თანაბარი ენერგიით ბრძოლაა საჭირო, ორივე ფრონტზედ დაუღალავი მუშაობაა აუცილებელი.

ხ—ძე

# ნარკვევი

**უნგრეთის ს.-დ. კომუნისტების საწინააღმდეგო განსაკუთრებული კანონის დასაცავად.**

მთელი კონტრ-რევოლიუციის განმავლობაში უნგრეთის სოც.-დემოკრატიული პარტიები ხორტის რეჟიმის მიმართ აწარმოებდნენ წმინდა ვაჭრულ პოლიტიკას. ფართო მასების გავლენით სოც.-დემოკრატები არა ერთხელ იძულებული გახდნენ გამოსულიყვნენ ტამინისტრის დასაცავად წინააღმდეგ მათი სურვილისა, მაგრამ მათ კარგათ იციან, რომ სწორეთ ამ მინისტრია საცვებით გაძევებულება უნგრეთის მუშათა მოძრაობის ახლანდ ლიდერებს მეთაურებს. ამიტომ ისინი ყოველ დონეს ხმარობენ, რათა მინისტრია მხოლოდ სოც.-დემოკრატებს შეეხოთ და არა კომუნისტებს.

სოც.-დემოკრატების ასეთმა საქციელმა მშვენიერი დადასტურება მიიღო შემდეგ გარემოებაში: 6 ენკენისთვეს, 1922 წ. სოც.-დემოკრატ დეპუტატმა ემილ პიკლერმა შეიტანა პარლამენტში წინადადება დატუსაღების სისტემის მოსპობისათვის. თავის პასუხში შინაგან საქმეთა მინისტრმა ივანე რაკოვსკიმ განაცხადა, რომ სანამ სწარმოებს მძაფრი კომუნისტური მუშაობა, მთავრობას არ შეუძლია ეს ჩაიდინოს და ამასთანავე შემდეგი დაუმატა: „მე შემიძლია მოგახსენოთ, რომ მაისის ბოლოს სამი ლაგერიდან განთავისუფლებული იყო 37 პოლიტიკური ტუსაღი, ივნისის დასაწყისში 6 ტუსაღი ამ ჯგუფისა. მიუხედავათ ამისა ზოგიერთი მათგანი ახლაც საპყრობილოშია და ეს იმიტომ, რომ კითხვაზე, თუ როგორ მოიქცევიან ისინი მომავალში, მათ უპასუხეს: „ჩვენ კომუნისტები ვართ და კომუნისტებათვე დავრჩებითო“. მე ვთხოვ ბატონ ს.-დემოკრატ დეპუტატებს, რომელნიც ყოველი შესაძლებლობით სარგებლობენ, რათა განაცხადონ, რომ მათ არავითარი საერთო არა აქვთ კომუნისტებთან, ნუ გაუთანასწორებენ თავს ამ დამნაშავეებს“.

სოც. დემოკრატები სიის კითხვას უპასუხებდნენ წამოძახილით: „მოათავსეთ ისინი საპყრობილოში, რა საქმე გვაქვს ჩვენ კომუნისტებთან“.

მინისტრი რაკოვსკი განაგრძობდა: „თუ კი თქვენ, ბატონებო, ჰქმნით სინდისიერ და პატრიოტულ პოლიტიკას, მაშინ არ მეშინია ბოლშევიზმის გაძლიერებისა, მაგრამ სანამ წამქისიანებლების მუშაობა გაძლიერებულია... (სოც.-დემ. სად, სად, გვითხარით სად!) შექმენით ბატონებო სინდისიერი პატრიოტული პოლიტიკა (სოც. დემ. როგორ ბედავთ თქვენ დაამტკიცოთ, რომ ჩვენ არა ვქმნით პატრიოტულ პოლიტიკას.) ჩვენ, დიდი ხანი არ არის, რაც კომუნისტური შეთქმულების კვალს მივაგენით და დატუსაღებულთა სიას წავიკითხავთ“.

ს. დ. დეპუტატმა პიკლერმა განაცხადა: „თუ კი კიდევ არიან სულელები, რომელთაც საბჭოთა რესპუბლიკის შემოღება სურთ, მაშინ მთავრობამ შემოიტანოს კანონ-პროექტი, რომლითაც ასეთი ცდები საშინლად დასჯილი იქნება; სოც. დემ. პარტია ხალისით მისცემს ხმას ამ კანონს“.

ამრიგათ, უნგრეთში მოსალოდნელია კომუნისტების საწინააღმდეგო განსაკუთრებული კანონის შემოღება. სოც.-დემ-ბი წინადადებას აძლევენ მთავრობას მისცან კომუნისტებს თავისუფლება ბედუკუღმართი სოციალისტები და ხალხთა ლიგა.

ვანდერველდემ, რომლის ხელის მოწერითაც დამშვენებულია მტაცებლური ვერსალის ხელშეკრულება, უკანასკნელ ხანებში ფრთხილათ გამოსთქვა აზრი მის „გადასასინჯათ“. მიუხედავათ ამისა, ვანდერველდეს პარტიას უჩნდება ხალხთა ლიგაზე უარის თქმა, რომლის საფუძველი ვერსალის ხელშეკრულებაა. ამის წინად „ბელგიელ სოციალისტებმა ხალხთა ლიგაში გაგზავნეს ლუი—დებრიუკერი, სადაც ის მთავრობის მიერ არის დანიშნული. მისი წინა მოადგილე აქ მეორე ბელგიელი სოციალისტი ლაფონტენი იყო.

როგორც ხმები არის, ის შეცვლილ იქნა მისი „მემარცხენეობის“ გამო. ბრიუკერი წარმოადგენს ტიპიურ სოციალ-რეფორმისტს. ერთ დროს ის ეკუთვნოდა ბელგიის მუშათა პარტიის მარცხენა ფრთას, მაგრამ დიდი ხანი არის, რაც დაადგა სიბერეზე.

**გერმანელი კომუნისტები და კოოპერაცია.**

ქალაქ ვეისენფელსში აგვისტოს 20 ს შესდგა მესამე კონფერენცია გერმანელ კომუნისტ—კოოპერატორებისა. მასში მონაწილეობას იღებდნენ 96 დელეგატი (მეორეზე იყო 30, პირველზე 24 დელეგატი). განსაკუთრებით საცვებით იყვნენ წარმოდგენილი: ჰალლი, ლაიპციგის, ხემნიცის და მაგდებურგის ოლქები.

კონფერენციაზე განხილულ საკითხებიდან განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული ამხ. ეტინგერის მოხსენებას „მომხმარებელთა საზოგადოებების პრინციპიალური მნიშვნელობის შესახებ მუშათა კლასისთვის“. მომხსენებელმა საფუძვლიანად გაარჩია ძველი შემთანხმებელი სკოლის და კომუნისტების შეხედულებათა სხვაობა კოოპერატიულ მოძრაობაზე. თუ კი პირველნი მას უყურებენ როგორც ბურჟუაზიულ თვითდახმარების ორგანიზაციას, მეორენი ხაზს უსვამენ კოოპერატიული მოძრაობის მნიშვნელობას, როგორც ერთ-ერთ ფორმას მუშათა მოძრაობისას, რომელიც აღორძინდა კაპიტალისა და შრომის წინააღმდეგობაზე. ძველ კოოპერატორთა თეორეტიკი შტაუდინგერი სავსებით უარყოფს კლასობრივ ბრძოლას და ჰ ონია, რომ კოოპერაციის გზით ბოლოს და ბოლოს დაამარცხებს კერძო კაპიტალს. მეორე მათი თეორეტიკი კაუფმანი კი, თხოულობს რა კოოპერაციის მიერ ქარხნებისა და პლანტაციების შეძენას კოლონიებში, დამობს დაამარცხოს კერძო კაპიტალი კოოპერატიული დაზოგების ორგანიზაციით კაპიტალისტურ ფდაბნოში. ამასთანავე მათი ოპოზიცია ბუნებრივად თხოულობს პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს. კომუნისტების თვალსაზრისით კი ასეთი მიმართულება კოოპერაციას დაბოლოს გადაქცევს წმინდა სავაჭრო დაწესებულებათ, რომელიც პრაქტიკაში არა თუ აღარ იქნება კერძო კაპიტალის გაუქმების საშუალება, არამედ, პირიქით,—მისი დამცველი გახდება.

პროლეტარულ კოოპერატიულ პოლიტიკის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ეიცენი—მისი აზრით უნდა მიღწეულ იქნეს კოოპერაციაზე ხარკის შემცირება და ამასთანავე ზოგიერთი ქალაქის დაწესებულებები უნდა გადაეცეს კოოპერაციას; უარის თქმა დივიდენდზე, მუშათა ბანკების ორგანიზაცია და სხ.

კომინტერნის კოოპერატიული სექციის და საერთაშორისო კომუნისტ—კოოპერატორების კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელიც 1 ნოემბრისათვის არის მოწვეული მოსკოვში, ამხ. ბიუკნელი აკეთებს მოხსენებას, რომელიც აღნიშნავს ამ კონფერენციის საქიროებას.

კამათში აღნიშნულ იქნა, რომ კოოპერაციაში კომუნისტებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ უსასტიკეს დისციპლინას და მჭიდრო კონტაქტს პარტიასთან.

კონფერენციაზე მიღებულ იქნა მიმართვა გერმანიის პროლეტარიატისადმი, რომელშიაც სხვა მოთხოვნილებებთან ერთად აღნიშნული არის პრაქტიკული ზომები. მოგვყავს ზოგიერთი მათგანი:

1) სახელმწიფომ, ქალაქის თვითმართველობებმა და თემებმა უნდა მისცენ კოოპერაციას ისეთი კრედიტი, რომ კერძო კაპიტალს ხელიდან გამოეცალოს სურსათის მიწოდების საქმე;

2) კოოპერაციამ უნდა მიიღოს განსაკუთრებული უფლება მცხოვრებთათვის აუცილებელი სასურსათო საგნების მისაწოდებლათ;

3) უნდა იძულებულ იქნენ აგრარიები დათესონ თავიანთი მიწები სასურსათო პროდუქტებიდან, ხოლო დაუმუშავებელი მიწები კი ჩამორთმეულ უნდა იქნენ და

4) გატარებულ იქნეს რაპალოს ხელშეკრულება.

მიღებულ გადაწყვეტილებათაგან კომუნისტების ტაქტიკის შესახებ კოოპერაციაში, მნიშვნელოვანია:

1) საერთო ფრონტი პროდუქტების ყოველგვარ გაძვირების წინააღმდეგ და ხალხის კვების უზრუნველყოფა კონტროლის დაწესებით, 2) საერთო მებრძოლი ფრონტის შექმნა კოოპერაციისა, პროფკავშირებისა და პროლეტარულ პარტიისგან საფინანსო და სასურსათო კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, 3) სოლიდარობა რუსეთთან და თანამშრომლობა საბჭოთა რუსეთის დახმარების საქმეში.

რუსეთის დახმარების საკითხზე მიღებული იყო სპეციალური რეზოლიუცია, რომლითაც კოოპერაციაში მომუშავე კომუნისტებს ევალებათ მოუწოდონ ცენტრალურ კოოპერატიულ ორგანოებს ხელი მოაწერონ საერთაშორისო მუშათა დახმარების კომიტეტის სიტყვზე, საბჭოთა მთავრობასთან ურთიერთობის აღსადგენათ, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო კონცესიების მიღების მიზნით...

კონფერენცია მეტად დიდი ნაბიჯი იყო გერმანიის კოოპერაციის კომუნისტური ძალების გაერთიანების მხრით, სადაც გარკვევით იქნა აღნიშნული ის პრინციპები, რომელიც საფუძვლად უნდა დაედვას კოოპერაციაში კომუნისტების გავლენის მოპოვებისათვის ბრძოლას. („პრავდა“ № 211).

# ჟურნალ—გაზეთებიდან

**„კანცელიარიული შეცდომა“.** მდგომარეობა კვლავ სერიოზული რჩება. ერთის მხრით მკაცრ კრიტიკამ, რომლითაც იქმნა შეხვედრილი ინგლისის დეკლარაცია საფრანგეთში, იტალიაში და თითქმის ბრიტანეთის ზოგ წრეებში აშკარაა, მოახდინა დიდი შთაბეჭდილება ლონდონში და მთავრობის წრეებში; ამასთან დაკავშირებით აჩნევა რამოდენიმედ დამშვიდებითი დამოკიდებულება მთელ საკითხისადმი. ასე, ზოგ წრეებში ირწმუნებიან, ვითომც შაბათის დეკლარაციის გამოქვეყნება არის გაუგებრობის ნაყოფი, ხოლო „ტაიმსის“ პოლიტიკური კორესპონდენტი შენიშნავს, რომ დეკლარაცია გამოქვეყნებულია რაღაც კანცელიარიული შეცდომით. რეიტერის სააგენტომ გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა, რომელშიაც არის ცდა მდგომარეობის ნაკლებ საშიშროებით წარმოდგენისა: „არ შეიძლება ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ბრიტანეთის მთავრობა იძლევა პროექტს რომელიმე ახალ ომისათვის, ან ამზადებს ახალ სამხედრო ოპერაციებს. მოკავშირეთა ჯარები სრუტეებში მხოლოდ თავის მოვალეობას ასრულებენ სევრის ხელშეკრულებასთან თანხმობით და მთელი საკითხი ემყარება მხოლოდ სრუტეების დაცვას შესაძლებელ ხიფათისაგან და არა ომს ვინმესთან. მუსტაფა ქემალი გაფრთხილებულია, მან არ უნდა დაარღვიოს ნეიტრალურ ზონის ხელშეუხებლობა. თუ ასეთი დარღვევა არ მოხდა, მაშინ არ იქნება არც ომი, წინააღმდეგ შემთხვევაში დარჩება მხოლოდ ორი გამოსავალი: ან გადახვევა გზიდან, ან ძალით წინააღმდეგობა“.

**ინგლისის სამხედრო მზადებანი.** არსებობს მთელი რიგი ნიშნებისა, რომლებიც მოწმობენ გამწვავებულ კრიზისის არსებობას. სექტ. 18-ს მოხდა ინგლისის კაბინეთის სხდომა, სამხედრო ექსპერტების მონაწილეობით, და გამომუშავებულ იქმნა მთელი ზომებისა, რიგი რომელთაც ითვალისწინებს ახლო აღმოსავლეთში სამხედრო ძალების გაგზავნას. თუმცა ეს ძალები გაგზავნილი იქნება მოკავშირეთა თანხმობით, მაგრამ ისინი მზად იქნებიან გამოვიდნენ ყოველ მომენტში სრუტეების დასაცავად.

„დეილი ჰერალდი“-მ გამოაქვეყნა ცნობა, რომლის თანახმად ბრიტანეთის მთავრობა შეუთანხმდა მცირე ანტანტის მთავრობებს კონსტანტინეპოლის ოსმალოებზე არ გადაცემის საკითხში. როგორც გაზეთი აღნიშნავს, ეს შეთანხმება მოასწავებს ახალ ბალკანეთის ომს.

**— მუშები არ დაუშვებენ ომს.** ინგლისის მუშათა პარტია სასტიკ პროტესტს აცხადებს ომის წინააღმდეგ. „დეილი ჰერალდში“ მოყვანილია განცხადებები მუშათა პარტიის ლიდერებისა: სნოუდენის, გასლინგის, მაკდონალდის და სხ., სადაც ნათქვამია, რომ ინგლისის მუშათა კლასი არ დაუშვებს ომს. ოგრედი მოითხოვს „მოქმედების საბჭოს“ ორგანიზაციის შექმნას და იმუქრება იმით, რომ მუშები უარს განაცხადებენ მუშაობაზე. აგრეთვე მუნიციპალურ მუშა-მოსამსახურების ხლიურ კონფერენციამ მიიღო მკაცრი რეზოლიუცია, რომელშიც სჩანს მძლავრი პროტესტი ომის წინააღმდეგ და სადაც ნათქვამია, რომ, რამდენადაც ომის საკითხი დამოკიდებული იქნება მუნიციპალურ მოსამსახურეებზე, უკანასკნელნი არ დაუშვებენ ახლო-აღმოსავლეთში არც ერთ ჯარის კაცის გაგზავნას. როგორც „დეილი მეილი“ და „ივნინგ სტანდარტ“-ი იტყობინება, შაბათის დეკლარაცია იყო გამოქვეყნებული ლოიდ-ჯორჯის პირადი ინიციატივით და ამ დეკლარაციაზე არც მთავრობა მთლიანად და არც საგარეო საქმეთა სამინისტრო პასუხისმგებლობას თავზე არ იღებს.

**— „უუმბარა გასროლილი პარიზიდან“** როგორც „პტი პარიზიენი“ იუწყება, შესაძლებელ კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად საფრანგეთის მთავრობა უკან გაიხმობს თავის ჯარებს, რომლებიც იმყოფებიან ჩანაკში და მცირე აზიაში დარდანელის ევროპიულ ნაპ[ირ]ების გასამაგრებლად. სარდლისა[გან] მი შესატყობინებლად [...] ცემული [...] ცნობას უწოდებს ყუმბარას, გასრო[ლი]ლს პარიზიდან, რადგან ამით ნ[ე]იტრალურ ზონის დაცვა მოუხდე[ბა] მხოლოდ ინგლისის ჯარებს. შემდ[ეგ] გაზეთი აღნიშნავს, რომ მსოფლი[ო ო]მის დასრულების შემდეგ, არ ყ[ო]ფილა ისეთი მომენტი, საშიში [ევ]როპის მდგომარეობისათვის, რო[გ]ორიც არის საფრანგეთის ჯარებ[ის] ევაკუაცია.

**ინგლისელი მეზღვაურები [და] ფაშისტები.** ინგლისურ „კომუნის[ტ]-ში“ მოთავსებულია საუბარი რობერ[ტ] ვილიამსთან, იტალიის გემ „[...]კამე“-სთან მომხდარ ინციდენტ[ის] შესახებ, რომელიც მოვიდა ინგლ[ის]-ში ფაშისტების შტრეიკბრეხერებ[ის] კამანდით. ინგლისელმა მუშებმა უ[ა]რი სთქვეს ამ გემის გადმოტვირთვ[ა]ზე. ამან გამოიწვია ფაშისტებ[ის] ლიდერის მუქარა, რომ ისინი მი[ი]ღებენ რეპრესიულ ზომებს იტალ[ი]აში მომსვლელ ინგლისელ მეზღვ[ა]ურების წინააღმდეგ. ამის საპასუ[]ხოთ ვილიამსმა უპასუხა, რომ [ეს] მუქარა ვერ მოახდენს გავლენას [ინ]გლისელ სანტრანსპორტო მუშებ[ის] გადაწყვეტილებაზე.

# ახლო აღმოსავლეთი

**კონსტანტინეპოლში.**

ანგორა 29 სექტ. ანგორის გაზეთებ[ი] ათავსებენ ცნობებს, რომელიც ასურ[ა]თებს კონსტანტინეპოლის ამბებს. ს[]თანს განზრახული აქვს გადადგომა პრი[]სულის სასარგებლოდ, ხურრიეტ [...] იტილაფის პარტიის წევრნი სტოვებ[ენ] კონსტანტინოპოლს, მრავალი ოფ[იც]რ[ე]ბი შედიან საბერძნეთის არმიაში უბრ[ა]ლო ჯარის კაცებად.

**ფრაკიაში.**

ანგორა 29 სექტ. ფრაკიაში გაცხ[ო]ველდა ოსმალური ელემენტების მოქმ[ე]დება. ფრაკიის ბევრ ადგილებში [...] ბერძნეთის ძალაუფლება ჩამოგდებულია.

**სამხედრო მოქმედება.**

ანგორა 29 სექტ. დღეს ანგორას გ[ა]ზეთები აღნიშნავენ, რომ ოსმალეთ[ის] არმიამ წაიწია წინ იზმიდის დასავლ[ე]თით.

**ხრუტეები.**

ანგორა 29 სექტ. გაზეთი „ოტიუდ[...]“ ათავსებს მოწინავე წერილს ანტანტ[ის] და რუსეთის უკანასკნელი ნოტის [...] სრუტეების შესახებ. გაზეთი ილაშქრ[ებს] ანტანტის ნოტის წინააღმდეგ სთვ[ლის] რა ამას ხერხათ.

აღნიშნავს რა, რომ ანტანტას მ[...] დღევლობაში არ ჰყავს რუსეთი სრუ[ტე]ების საკითხში, გაზეთი ამბობს: „ოს[მა]ლეთი მუდამ მოხარულია საქმე დაი[ჭი]როს კომუნისტურ რუსეთთან.

რუსეთის კომუნისტებმა აღმოუჩი[ნეს] ოსმალეთს დახმარება ძალიან მძიმე მ[ომე]ნტში. დასავლეთს სურს შექმნას შ[...] ახიაში მდელვარება რათა ერთმანე[თ]ს წაჰკიდოს რუსეთი და ოსმალეთი [და] შემდეგ ცალ-ცალკე გაუსწორდეს. ოს[მა]ლეთს არ შეუძლია დამოუკიდებლ[ად] გადაწყვიტოს სრუტეების საკითხი, [ის] უნდა იმოქმედოს რუსეთთან ერთ[ად]. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ოსმალეთის [...]დი ეროვნული კრებაც გამოიჩენს [...] ბედიათობას და სიმტკიცეს. სასურველ[ია] ყველა ორგანოებმა განიხილონ ეს [საკი]თხები.

**მუსტაფა ქემალის ჩასვლა ანგორაში.**

ანგორა 29 სექტ. ანგორაში მოელ[ის] მუსტაფა ქემალის ჩასვლას. ემზადებ[ი]ან საზეიმოდ. აკეთებენ ორკეებს [...]ბო წარწერებით.

**ბრიტანეთის ძალები.**

მოსკოვი 1 ოქტომბ. კონსტანტი[ნე]პოლიდან მიღებულ ცნობების თანახ[მად] ახლო აღმოსავლეთში გაგზავნა ინგ[ლი]სის ახალი ძალები. ბრიტანეთის ხმე[ლე]თის ძალები 30 ათასს კაცს აღემატ[ება].

**ამერიკის ესკადრა**

მოსკოვი 1 ოქტომბ. ვაშინგტონი[დან] მიღებულ ცნობების თანახმად, ამერი[კის] 12 გამანადგურებელ გემებმა მიი[ღეს] ბრძანება (გამოქვეყნებულია) იმ ე[სკა]დრის დასახმარებლად, რომელიც სდ[გას] კონსტანტინოპოლთან.

**ოსმალეთის კავალერიის მოქმედებ[ა].**

მოსკოვი 1 ოქტომბ. გაზ. „დე[ილი] ქრონიკლის“ ცნობით, ოსმალეთის კ[ავა]ლერია შეიჭრა ინგლისის ხაზზე, ინგ[ლი]სის ჯარებთან შეხვედრის დროს ოს[მა]ლეთის ჯარები აღმართავენ თე[თრ] დროშას.

**სულთანის გადადგომა.**

**ნაუენი 1 ოქტომბ.** სტამბოლიდან მიღებული დეპეშები ადასტურებენ ხმებს ოსმალეთის სულთანის ტახტიდან გადადგომის შესახებ.

**ჰანოვერი 1 ოქტომბ.** სტამბოლიდან მიღებულია ოფიციალური ცნობები ადასტურებენ სულთანის გადადგომას.

**ომი აუცილებელია.**

**ჰანოვერი 1 ოქტომბ.** 29 სექტემბერს ინგლისის კაბინეტის სხდომაზე, რომელიც გაგრძელდა ორი საათი, გადაწყდა, რომ ინგლისი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს ოსმალეთის ჯარების მიერ სრუტეების გადმოლახვას და მათ გადმოსხმას ევროპის ნაპირებზე. კაბინეტმა დაადგინა გადასცეს ქემალ-ფაშას ახალი ნოტა ულტიმატუმის ხასიათის, რათა დაუყოვნებლივ გაანთავისუფლონ ნეიტრალური ზონა. ნეიტრალური ზონის ოსმალების მიერ დაცლის ვადის დაწესება ევალება გენ. გარინგტონს.

პოლიტიკურ წრეებში ის აზრი სუფევს, რომ ასეთი საბოლოო გადაწყვეტილების გამო, ომი ინგლისის და ოსმალეთის შორის აუცილებელი იქნება. პარლამენტის წრეებში ფიქრობენ, რომ ომის გამოცხადებისას ლოიდ-ჯორჯი მოიწვევს პარლამენტს, რომლის წევრებს უკვე ეცნობათ სასწრაფოდ დაბრუნდნენ ლონდონში.

**ინგლისელების მოქმედება.**

**ჰანოვერი 1 ოქტომბ.** გენერალმა გარინგტონმა ბრძანება გასცა, რომ ხდეს ყველა მშვიდობიან მცხოვრებლების ევაკუაცია გალიპოლის კუნძულიდან, „ინტრანსიჟანის" ცნობებით ინგლისელებმა დადგეს მძიმე ზარბაზნები გალიპოლის ევროპის მხარეზე.

**ჰანოვერი.** ბერლინში მიღებულია ცნობები, რომ ინგლისმა გაუგზავნა საფრანგეთს ნოტა, რომელშიაც წინადადებას აძლევს მას დაუყოვნებლივ გამოგზავნოს თავისი ჯარები მარმარილოს ზღვის ნაპირზე.

**ბერლი 1 ოქტ.** რეიტერის სააგენტო უარ ჰყოფს ხმებს ინგლისის ულტიმატუმის შესახებ, რომლითაც წინ დადგება ეძლევა ოსმალეთს დაცალოს ნეიტრალური ზონა. თუმცა-და მტკიცდება, რომ ინგლისის მთავრობამ სრული უფლება მისცა გენ. გარინგტონს და დაავალა მას იმოქმედოს. ისე, როგორც მოითხოვს პირობები.

# უცხოეთი

**კროაციის ავტონომია.**

**ბერლინი.** კროაციის გლეხთა პარტია თავის ახლად შემუშავებულ პროგრამაში მოითხოვს კროაციის ავტონომიას. გლეხთა პარტია არის ყველაზე უფრო გავლენიანი პარტია კროაციაში.

**გაფიცვები უნგრეთში.**

**ბერლინი.** ცხოვრების არაჩვეულებრივმა გაძვირებამ გამოიწვია უნგრეთში მთელი რიგი გაფიცვებისა. ლითონის მუშებმა, წყლით მიმოსვლის, ორთქლის წისქვილების და ტყავეულობის მუშებმა წამოაყენეს თავიანთი მოთხოვნილებანი. მიუხედავად მთავრობის სიმკაცრისა სამრეწველო მადნეულობის მეპატრონეები განაგრძობენ ბრძოლას. სოციალ-დემოკრატიამ ზურგში ჩასცა მახვილი მუშებს გამოიმუშავა რა რაღაც- დახავსებული კომპრომისი მთავრობასთან.

გაფიცვებს აქვს უდიდესი მნიშვნელობა, ვინაიდან საკითხი ეხება 8 საათის სამუშაო დღეს მაშინ, როდესაც უნგრეთის მემადნეები მუშაობენ დღეში 12 საათს. უნგრეთში გაფიცვების ძლიერებას აქვს დიდი მნიშვნელობა. ეს არის მაჩვენებელი იმისა, რომ არავითარ მთავრობის ტერორს არ ძალუძს დაახშოს პროლეტარიატი.

# რუსეთი

**ჩან-ჩუნის კონფერენცია**

**ამხ. იოფეს ავადმყოფობა**

**მოსკოვი, 1 ოქტომბერი.** რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარე ჩან-ჩუნში ავად გახდა.

— იაპონიის დელეგაციამ ჩან-ჩუნიდან გამგზავრების წინ საუზმე გაუმართა იაპონიის ჟურნალისტებს, სადაც რუსეთის დელეგაციიდან დაესწრო ლებედევი. მაცუდაირამ სთხოვა ლებედევს გადასცეს იოფეს სურვილი ჩქარი გამომრთელებისა.

— იაპონიის მისიის წევრებმა გადასცეს იოფეს თავიანთი სადარბაზო ბარათები და გამოუცხადეს თანაგრძნობა ავადმყოფობის გამო.

— იაპონიის გაზ. „ოსაკის" წარმომადგენლებმა გაუგზავნეს იოფეს დიდი კალათი ხილი,

**მოსკოვი. 1 ოქტომბერი.** გაზ. ,,ოსაკი'' აღნიშნავს, ,,ჩან-ჩუნის კონფერენცია არ სპობს. ურთიერთობას ორივე ერთა შორის. კონფერენცია იყო მხოლოდ დაახლოვების პირველი ნაბიჯი ჩვენ დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს ამ ხნის განმავლობაში ბევრი დაბრკოლებები შეიქმნა, რომელიც (დასასრული არ არის მიღებული).

— ამხ. იოფემ თავისი მდივნის საშუალებით გადასცა გაზ. ,,ოსაკის'' წარმომადგენლებს შემდეგი: არაფერი არა სპობს მეგობრულ ურთიერთობას ორ ერთა შორის. რუსეთის და იაპონიის ხალხი გრძნობენ ერთმანეთისადმი დიდ სიმპატიას, ჩვენ არასოდეს არ გაურბოდით მოლაპარაკებას, რომელიც არის მეგობრული გრძნობის გამომხატველი.

# ახალი ამბები

— **სრ. საქართველოს კოოპერაციის კავშირის ბიუროს მეთუთხმეტე სესია.** აღნიშნული სესია დანიშნული იყო 1 ოქტომბრისათვის. ყრილობა ბიუროს წევრებისა უკვე დაიწყო, ხოლო ვინაიდან ჯერ-ჯერობით ქვორუმი არ შესდგა სესიის პირველი სხდომა დანიშნულია სამშაბათს, 3 ოქტომბერს დილის 10 საათზე, ცეკავშირის ბინაზე.

— **საათის გადაწევა.** ოქტომბრის 1-დან რკინის გზაზე საათის ისარი გადაწეულ იქნა უკან ერთი საათით.

— **მოკლულის გვამი.** პირველ უბნის მილიციის ცნობით, ამ რაიონში უპატრონოდ ვიათ ერთი მოკლული უცნობი ქალის გვამი; კვლევა-ძიება სწარმოებს.

— **გამოცდები ქართულ დრამატიულ სტუდიაში.** კვირას 1 ოქტომბერს დანიშნული სტუდიაში მისაღები გამოცდები დამთავრდა. გამოცდებს აწარმოებდა ცნობილი რეჟისორი კ. მარჯანიშვილი, აკაკი ფაღავა, მიხ. ქორელი, ახმეტელი და სხვები. კონკურს დაესწრენ მსახიობი ნინო ჩხეიძე, თეატრის კომისარი დავით ჩხეიძე, იყვნენ აგ. იმედაშვილი და თითქმის ყველა ქართული დრამის მსახიობები. კონკურსებზე გამოცხადდა თითქმის ასამდე კაცი, რომელთაგან გამოვიდნენ გამოცდებზე 50 ახალგაზრდა. რეჟისორი მარჯანიშვილი სავსებით კმაყოფილი დარჩა გამოცდების შედეგით და ზოგიერთ ახალგაზრდების გამოსვლებით. საზოგადოთ მთელ კონკურსანტთა რიცხვიდან მიღებული იქნა მხოლოდ თვრამეტი კაცი, რაც უსათუოდ დიდ პროცენტს შეადგენს მთელი რიცხვიდან. აქედან რვა არის ქალი და დანარჩენი—ვაჟები. მსმენელებად ჩაირიცხა რვა ახალგაზრდა. სია მიღებულ სტუდენტებისა და მსმენელებისა ცალკე გამოცხადდება. სტუდიის ძველ წევრებს ევალებათ გაიხლონ მისაღები განცხადებები სამი დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ იქნებიან დაშვებული მეცადინეობაზე.

— **საერთაშორისო ენის ,,ესპერანტოს'' გამოფენა.** 1 ოქტომბერს მუშათა სასახლის პატარა დარბაზში გაიხსნა საერთაშორისო ენის გამოფენა, რომელიც მოაწყო ,,ესპერანტოს'' კავშირის პრეზიდიუმმა. გამოფენა იყოფა 4 განყოფილებად: 1. საერთაშორისო ენის ,,ესპერანტოს'' აღმოცენება და მისი ისტორია, 2. ესპერანტო სკოლაში, 3. ესპერანტო და მუშათა საკითხი, 4. კომუნიზმი და ესპერანტო. გამოფენაში არის 80 პლაკატი ორიგინალური ხასიათისა, 500 წიგნი და მრავალი ბროშიურა. მრავალი ალბომი, დიოგრამა და ეგრედვე 14 პლაკატი 14 ესპერანტული კონგრესისა. პირველი წიგნები ესპერანტულ ენაზე გამოფენას ხელმძღვანელობს მოქ. ანდრეევი. შესავალი ფასი 10,000 მ. წითელ არმ. და პროფკავშირის წევრებისათვის ხუთასი თუმანი.

— **საკურორტო სეზონის დახურვა.** სექტემბრის 27 დაიხურა სამკურნალო სეზონი ბორჯომ-აბასთუმნის ჯგუფში. და 29 სექტემბერს ექიმი ზანდუკელი თავის პირადი პერსონალით და კურორტიდან დაბრუნებული ავადმყოფებით დაბრუნდა ტფილისში.

# პროვინციის ცხოვრება

**ქალთა კონფერენცია სოფლად.** (ახალციხეში) უკვე დასრულდა ქალთა კონფერენცია. ყრილობაზე იყო დასმული საკითხი: საბჭოთა ხელი უფლება და ქალები". დაესწრო კონფერენციას 60-მდე ქალი, რომლებმაც გამოიჩინეს ცხოველი ინტერესი აღძრულ საკითხების გადაჭრისადმი, მოხსენების დასასრულს მოხდა არჩევნები ორგანიზატორ ქალებისა.

— **ბათომი.** აჭარის შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის განყოფილების ცნობით. რეგისტრაციაში გატარებულია, 14,560 გადამხდელი, 343 მეპატრონე ავტომობილების. ერთად შეგროვილია 4 მილიარდი მან. შრომის და ტვირთზიდვის ხარკიდან. ამ ფულის 85% გადადის კომუნალურ მეურნეობის განკარგულებაში, ხოლო 15% შრომის კომისარიატის.

# პარტიაში

**პარტიული განცხადება:** ტფილისის საქალაქო კომიტეტი წინადადებას აძლევს. ტფილისელ ამხანაგებს განაახლონ პარტიული მანდატები (საწევრო ბარათები) 15 ოქტომბრამდის. ა. წ. აღნიშნულ რიცხვის შემდეგ ძველად გაცემული მანდატები ჩაითვლება გაუქმებულად.

მანდატების განახლება სწარმოებს ყოველ დღე პარტიის მთავარ ბიუროში ლორის-მელიქოვის ქუჩა. № 1. ტფილისის კომიტეტის ოთახი № 1) საღამოს 7—10-მდის.

ტფ. კომიტეტი.

# სოფლის მდგომარეობა

3.

(დასასრული*)

ანტი-სანიტარული მდგომარეობა ხომ ყველა ნაკლს აღემატება; აყრილ დაყრილ და მინგრეულ-მონგრეულ სახლის გზოებს და ქუჩებს ზედ ერთვის ნაგავი და ათასგვარი სიბინძურე მიუხედავად იმისა, რომ ზოგ სოფლებში არის დანიშნული სანიტარული ზედამხედველობა და ალბად ამავე უმოქმედობით აიხსნება ის გარემოება, რომ სოფელში აქვს ისეთ შემთხვევებს ადგილი, როდესაც ავადმყოფი საქონელი იკვლება და ამ ხორცით იკვებება სრულიად ჯანსაღი სოფლის ხალხი.

სახალხო სასამართლოებზე ბევრს არაფერს არ ვიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ მისი მუშაობა მძიმე ტემპით მიმდინარეობს და ბევრი ადგილს არის პატარა დეფექტებიც; თვით თანამდებობის პირნი ეწევიან „აბლაკატობას", რითაც დისონანსი შეაქვთ სასამართლოს მუშაობაში და სასამართლოს ბიუროკრატიულ ელფერსა სძენენ. თვით სასამართლოს მოხელეები ხშირად უწუნებენ მომჩივრებს დაწერილ თხოვნებს—„ფორმალურად არ არის დაწერილი, შინაარსი არ ვარგაო"—უწუნებენ პირველს, მეორეს, მესამეს და ბოლოს საქმე იქამდის მიჰყავთ, რომ თვითონ „უკეთესად" და „ფორმალურად" უწერავენ მხოლოდ იმიტომ, რომ ორი ან სამი ლიტრა პური უნდა გამოართონ დაწერაში. ასეთ შემთხვევებში ბევრი გლეხები სდუმან, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ასეთ მოხელეებს კბილებს უჩხრეკენ და მათს ბნელს მოქმედებას ასაჩივრებენ სადაც ჯერ არს და ბევრი ასეთი მოხელის მოქმედება დღეს გამოძიების პროცესშია.

სწავლა-განათლებაზედაც არაფერი არა გვრჩება სათქმელი, ვინაიდან ეს საკითხი ჩვენი ხალხისთვის ცნობილი საკითხია არა მარტო სოფლად, არამედ ქალაქშიც. დავანებოთ იმას თავი, რომ მასწავლებლების ნივთიერი მდგომარეობა დროით ვერ მოგვარდა, რის მეოხებითაც შეწუხებული მასწავლებლები გულ აცრუებულნი არიან სწავლის საქმეში და ეს გარემოება კი რასაკვირველია აფერხებს სწავლა-განათლების საქმეს, მაგრამ პირდაპირ მიუტევებელი და შეუწყნარებელია ის მდგომარეობა, რა მდგომარეობაშიაც დღეს ბევრი სოფლის სასწავლებლების შენობებია: დალეწილია ფანჯრის მინები, დამტვრეულია ინვენტარი, მაგიდები და სხვა და მიუხედავად ამისა, მისი, თუნდაც პატარა რემონტისათვის არავინა ზრუნავს.

ბევრი სოფლის გლეხი ხელოვნებას და თეატრს ჯერეთ ისევ „ცირკათ" და „ბერიკობათ" ნათლავს და ეს ხდება იმიტომ, რომ გლეხს მართლაც არ უნახავს ნამდვილი ხელოვნება. ემართავთ წარმოდგენებს ცენტრებში, რაზედაც მხოლოდ ინტელიგენცია ირთობს თავს და მიყრუებული სოფლები ამ მხრივ მართლაც მიყრუებული რჩებიან. ვისაც სურს იზრუნოს სოფლისთვის, რათა გლეხის კულტურულად ზნეობა გონება განათლოს, მან უეჭველად უნდა იზრუნოს და შექმნას მოძრავი თუ არა, მოძრავი წარმოდგენების მმართველი დასი მაინც, რომ სოფლის გლეხი თვეში ერთხელ მაინც ეზიაროს ხელოვნებას.

მკითხველი უეჭველად დაგვეთანხმება, რომ საზოგადოდ ადამიანის ჯანმრთელობისათვის აბანოს დიდი მნიშვნელობა აქვს, თქვენ იშვიათად ნახავთ რუსეთში ისეთ სოფელს, სადაც აბანო არ ჰქონდეთ მოწყობილი და საქართველოში კი თქვენ იშვიათადვე ნახავთ სოფელს, რომელსაც აბანო ჰქონდეს. სოფლად აბანოს მოწყობა ისეთი უმნიშვნელო საქმეა, რომ არც კი ღირს მასზედ ლაპარაკი და მიუხედავად ამისა ჩვენი სოფლები კი დღეს ამას მოკლებულია.

კოოპერატივები—ეს მშრომელი ხალხის ერთად ერთი ნუგეში—დღეს საშინელ სასოწარკვეთილებაშია და სულსა ლაფავენ. ჯერ ხომ ყველა სოფლებში არ არსებობს კოოპერატივები და სადაც არის, ანდა ყოფილა, დღეს მიზეზადილებია. რათა? ალაჰმა უწყის. როცა ყველა ამ ნაკლებზე ლაპარაკობ და დეფექტებზე მიუთითებ, ყველგან რაღაცა „დამაბრკოლებელ მიზეზებზე" მიგითითებენ და ისე გამოდის, თითქოს ამ „დაბრკოლების" გამო კაცობრიობას კეთილი ცხოვრება თავის დღეში არ ეღირსება.

შეუძლებელია სოფლის ცხოვრებაში ყველა ნაკლების აღნიშვნა.

კოოპერატივებს რომ სძინავთ, სამაგიეროდ ძველებურად დათარეშობენ სოფლად ებრაელი ჩარჩები ფარჩით და ხელში არშინით და აძრობენ ხალხს ტყავს ისე, როგორც ვაჭრული „სინიდისი" უკარნახებთ, ხელოვნებას „ცირკის" ფოკუსნიკები დაპატრონებია, რომლებიც ამ ბოლო დროს ხშირი სტუმრები არიან ჩვენი სოფლებისა და განუვითარებელი გლეხები კი ასეთ ანტიკულტურულ მოვლენებს ბუნებრივად სთვლის.

სოფლის ცხოვრების გამშვენიერებას, მისი დაწინაურებას სოფლის გლეხი რა თქმა უნდა უარყოფით არ შეხვდება, პირიქით, იგინი ამის საჭიროებას გრძნობენ, მოითხოვენ კიდეც: მაგალითად ერთ მშვენიერ დღეს რომ სოფელში თქვენ მოაწყოთ რაიონული სავადმყოფო, აუგოთ აბანოები, მკვიდრ ნიადაგზე მოაწყოთ და სანდო პირები ჩაუყენოთ კოოპერატივებში, მიაწოდოთ ახალი სისტემის სამეურნეო იარაღები [illegible] შენოთ თეატრის და სასწავლებლების შენობა—ვიმეორებ, [illegible] მადლობელი დარჩებიან და ყველა ამებისათვის ხათანადო ხარჯებსაც გაიღებენ, ვინაიდან სოფელს საამისო წყალი არ გაუჭირდება, მაგრამ ტრაგედია ჩვენი სოფლის გლეხისა ის არის, რომ ამ საქმის ნამდვილი ინიციატივა მას არ შეუძლიან გარეშე სახელმწიფოსა. თუ ვინმე ფიქრობს, დადგება ისეთი დრო, როდესაც თანამედროვე სოფლის ნაკლს გლეხი თავისი ინიციატივით შეივსებს, ეს ცუდილი ოცნებაა და მეტი არაფერი. გლეხი ჭეშმარიტად მართალია როდესაც ამბობს, რომ სოფლის დაწინაურებისათვის მათ ესაჭიროებათ მეთაურება, გულის შემწველი მეთაურება—და ეს მეთაურობა კი სამწუხაროდ მათ არ შეუძლიათ. ოცნება და ილუზია იქნება აგრეთვე ისიც, თუ ჩვენ ვიფიქრებთ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკით სახელმწიფოში დაშვებული კერძო ინიციატივა ჩვენს სოფლებს ააშენებს ახალი სისტემით.

ყოველი ჭეშმარიტი სოციალისტი დაგვეთანხმება, რომ ჩვენი სოფლის ამ გზით და საშვალებით განახლება არ შეიძლება. აშკარაა, რომ გლეხს ამისათვის არც დრო აქვს და არც გამოცდილება. რაც შეეხება კაცობრიობის მტერს, ბურჟუაზიას, იგი, როგორც ყოველთვის სჩვევია, შეეცდება ხელი შეუშალოს სოფლის აღმშენებლობას, რადგანაც მან ძალიან კარგად იცის, რომ კულტურა და წინმსვლელობა მშრომელი ხალხისა მიმართული იქნება მის წინააღმდეგ. აქედან აშკარად ცხადია, რომ სოფელს მთავრობის მეტი პატრონი არავინ არ ჰყავს, მთავრობამ უნდა გაუწიოს სოფელს ნამდვილი მეურვეობა.

მივდივართ სოფლად, მივიტანთ თან დაბეჭდილ გაზეთებს, გავმართავთ მიტინგ-კრებებს, დავპირდებით ცას და ქვეყანას, ამით კმაყოფილი დავბრუნდებით ქალაქში და გლეხი კი ელოდება დანაპირის გამართლებას! გადის ერთი თვე, ორი, სამი, ხუთი, ათი, წელიწადი, მეტიც და ამაოდ—ილუზიები და სიტყვები ჰქრებიან და ფაქტები. კი რჩებიან.

ისეთი მკითხველი, რომელიც ხშირად ვერა ხვდება საქართველოს დაბა სოფლებში და ამის მერხებით არა აქვს ნათელი წარმოდგენა ჩვენი სოფლის ნაკლულევანებაზე და დეფექტებზე—ჩვენი წერილებიდან ალბად დარწმუნდება იმაში, რომ სოფელი ქალაქის ცენტრის მზრუნველობას უშუალოდ დიდათ ვერ განიცდის.

დასასრულ ჩვენ ვამბობთ:—საჭიროა ხელისუფლების წარმომადგენლები, სისტემატიურად თუ არა, დროგამოშვებით მაინც ესტუმრებოდნენ დასაზღვრად სოფლებს, რათა ზედმიწევნით გაიგონ თუ, რასა ფიქრობს გლეხი, გაეცნონ მის საჭიროებას, მოთხოვნილებას, გაიგონ მისი მდგომარეობა და მოუსმინონ ის პრეტენზიები, რომელიც გლეხს უეჭველად აქვს.

ტყის მეფე.

*) იხ. „ტრიბუნა" № 305.

# სამწერლო განძეულობა

ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯ. ფილ. მახარაძის წინადადებით, ენკენისთვის 23-ს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ამხ. სერ. ქავთარაძემ დაამტკიცა ამ წლის 28 ივნისის დადგენილება აღმასკომისა, რომ მთავრობამ შეიძინოს მწიგნობარ ისიდორე კვიცარიძისაგან მის მიერ გაზეთების კანტორა „იმერეთში" ნაგროვებ-შენახული სამწერლობო განძეულობა: 1. ქართველ და უცხო ქვეყნების მწერალ-მოღვაწეთა პატარა და დიდი სურათები და ქართული პერიოდული გამოცემანი ყველა მიმართულებათა.

მთავრობამ სავსებით მიიღო მოქალაქე ის. კვიცარიძის პირველადელი ვრცელი მოხსენება ებლანდელ დამატება-განმარტებებით და მისცა მას მოთხოვნილი თავისი შილიონი, ხოლო მეორე ნახევარი ის. კვიცარიძემ უნდა მიიღოს, როცა მუზეუმს ამ მოკლე ხანში ჩააბარებს თავის განძეულობის უკვე დამზადებულ და შევსებულ კოლექციებს.

შემდეგ ამისა იგი შეუდგება შეგროვებას მთელ საქართველოში დანარჩენ სამწერლობო განძეულობას მე-50—60 წლებიდან მოყოლებული დღემდე. ამნაირად ის. კვიცარიძემ უნდა შეავსოს თავის დღემდე ნაგროვები განძეულობა და ჩააბაროს საქართველოს მუზეუმს მთლიანი სამწერლობო განძეულობა-საუნჯე ქართული მწერლობის ლიტერატურისა, რომლებსაც დღეს ვერ იშოვით ვერც ერთ სახელმწიფო წიგნთ-საცავებსა და მუზეუმებში.

ასეთი ფართო მიზანი დაუსახავს გამოცდილ მწიგნობარ ის. კვიცარიძეს და თუ კი მთავრობა მას შესაფერ მანდატით და ნივთიერ სახსრით აღჭურავს, მისი წარსული საქმიანობა მწიგნობრობის, ამ კულტურულ საქმიანობის დარგში თავდებია, რომ იგი დაკისრებულ საქმეს პირნათლად შეასრულებს, შემოივლის საქართველოს დაბა-ქალაქებს და გაზეთებში გამოცხადებით ყველა ქართული ოჯახები მიაწვდის მას ქართულ ჟურნალ-გაზეთების კოლექციებს, რომლებიც ბევრს სრულიად უსარგებლოთ უწყვია წიგნის თაროებზე.

გზა და გზა ის. კვიცარიძეს აზრათ აქვს აგროვოს სხვა სამუზეუმო სიძველენი და მოაწყოს ჟურნალ-გაზეთების გავრცელების საქმე—აგენტურაც, სადაც ხელი მიუწვდება.

ამისათვის მოქ. ის. კვიცარიძე მიმართავს მწიგნობრობის მოყვარულ ყველა ქართულ ოჯახებს მთელ საქართველოში და მის გარეთ—შეუნახონ მას აღნიშნული განძეულობა, რა თქმა უნდა ფასად და ამნაირად შეაძლებინონ მას მთავრობის მიერ დაკისრებული საისტორიო საქმე, რომლის ინიციატივას იგი სიამოვნებით შეხვდა...

ხოლო, ვისაც თავის განძეულობის გაყიდვა დღევანდელ ხელვიწროობის გამო ეჩქარება,—იმათ შეუძლიათ ეხლავე მიმართონ ის. კვიცარიძეს პირადად გინდ წერილობით: ქუთაისი—საგაზეთო კანტორა „იმერეთი".

# მოწერილი ამბები

**თემის აღმასკომები.**

ყველასათვის ცხადია და ნათელი, რომ დღეს თემების მმართველნი და ბატონ-პატრონნი არიან აღმასკომები და საბჭოები.

ყოველი საჭირ-ბოროტო, საკვეთილდღეო საკითხები, რომელნიც საჭიროა თემებისთვის ირჩევა და წყდება საბჭოებში და ეძლევა შესასრულებლად აღმასკომს.

ამ ფრიად სერიოზული ფუნქციის შესრულების დროს აღმასკომებს სჭირდებათ მეტი დაკვირვება და ყურადღების მიქცევა, თორემ ის კარგი და სანუკვარი საკითხები და დადგენილებები, რომელნიც მუშავდება საბჭოში, თუ არ იქნა შესრულებული რიგზე, გამოიწვევს და მოგვცემს მეტად ცუდ შედეგს, რომელიც თემისათვის იქნება ცუდი. ამისათვის საჭიროა, აღმასკომის წევრებმა გამოიჩინონ გამჭრიახობა, რათა შეასრულონ პასუხსაგები როლი. რა სასარგებლო იქნება საბჭოს დადგენილებები, რაც უნდა კარგი იყოს, თუ აღმასკომი თავის დროზე და თავის რიგზე არ შეასრულებს?

მეტად პასუხ-საგები პირები თემში არის აღმასკომებში წევრებად და მათ უნდა შეეძლოთ ამა თუ იმ საქმის მოგვარება. უნდა აღინიშნოს, რომ თემის აღმასკომები წევრებში არ არიან სათანადოდ მომზადებულნი და ვერ უძღვებიან კულტურულს მხარეს თემებისას. უმეტესად მთელ ენერგიას ხარჯავენ ადმინისტრატიულ სფეროს მოგვარებისათვის ეს სრულიად ამართლებს იმას, რომ ისინი არ არიან სათანადოდ მომზადებულნი იმაში, რომ კულტურულ საქმეს დიდი მნიშვნელობა აქვს.

თეატრი, სკოლა, სამკითხველო, აი ამ კულტურულ დაწესებულებათა გასაუმჯობესებლად მეტად ნაკლები შრომა და ენერგია იხარჯება, ვიდრე სხვა დაწესებულებათათვის.

დასამტკიცებლად შემიძლია მოვიყვანო ერთ ერთი თემის, სახელდობრ ტობანიერის თემის აღმასკომის ხარჯთ აღრიცხვის წარმოდგენიდან თემის საბჭოში. წარმოადგინა მან ხარჯთ-აღრიცხვა სხვა და სხვა დაწესებულებათათვის და კულტურულ დაწესებულებათათვის, სახელდობრ; სკოლის, თეატრის და სამკითხველოს არ წარმოუდგენია. შემდეგ ზოგიერთ ამხანაგების ზედ-მოქმედებით იქმნა წარმოდგენილი და დამტკიცებული საჭირო თანხა ამ დაწესებულებათა რემონტისათვის. მაგრამ თეატრისთვის ჯერ სულ არ გადაუდვიათ თანხა და იმით იმართლებს თავს, რომ თეატრისთვის არ ყოფილა თანხა გადადებულიო. აი ეს მაგალითი საკმაოა იმისათვის, თუ, რატომ აგრე გულგრილად ეკიდებიან კულტურულ დაწესებულებათ. ყველა ესენი არის განუვითარებლობის ბრალი.

ამისათვის ფრიად საჭიროა მაზრაში იმართებოდეს ყველა თემების აღმასკომის თავმჯდომარეების კრება, რომელზედაც უფრო გათვითცნობიერებული ამხანაგები მისცემენ დირექტივებს კულტურულ დაწესებულებათ სათანადო დონეზე დაყენებისთვის.

დასავლეთ საქართველოში წელს თარეშობს მალარია, რომელიც საშინლად აძვალტყავებს ისედაც გაძვალტყავებულ ხალხს. სიმშილისაგან ღონე მიხდილებმა ძლივს გაანელეს კრიზისი და იმ წუთში ეწვიათ ეს საზიზღარი სენი. ხალხი ქშინავს და გმინავს ამ სენის კლანჭებში. ვერ ნახავთ ისეთ ოჯახს, სადაც ორი ან სამი სული არ იყოს დაავადმყოფებული ამ სენით. აჩრდილის მზგავსნი დადიან და მოელიან შველას, მაგრამ შველა არსაიდან არის. საჭირო წამლები ნემსებისთვის არ იშოვება საბჭოთა აფთიაქებში. იშოვება მხოლოდ კერძო აფთიაქის საწყობებში, რომელსაც „მამა სისხლად“ ჰყიდიან და ხალხს არ ეძლევა საშუალება ამ სენისაგან განიკურნოს. საჭიროა დიდი ყურადღების მიქცევა, თორემ გვიან იქნება.

სოფლებში არიან კერძო ექიმები და ფერშლები, რომლებიც მთლად სულს ახდენენ ხალხს და ეწევიან საზიზღარ სპეკულიაციას.

უკეთებენ ნემსებს ავადმყოფებს, მაგრამ არა იმ ფასებში, როგორც ღირს, არამედ ათი იმდენად. ფრიად საჭიროა ამ მოვლენას მიექცეს ყურადღება თემების აღმასკომებისაგან, თორემ ხალხი მთლად გაძვალტყავდება. დიდი საშუალება იქნებოდა ხალხისთვის, რომ საჭირო წამლები ნემსებისთვის მალარიის საწინააღმდეგოდ მიწოდება და თემის საექიმო პუნქტებს, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევდა დასნეულებულ ხალხს.

Chahliko.

## სოლომ-ფაშა ხიმშიაშვილი

**(1756—1816 წ.**

(შემდეგი)

ოსმალოს მთავრობამ შერიფ ფაშის დაბეზღებას სათანადო თვალით შეხედა და იმ დღიდამ მათ დაუწყეს თვალყური დევნა სელიმ ფაშის მოქმედებაზედ. ამ დაბეზღების ამბავი სელიმ ფაშამაც მალე შეიტყო და იგიც კარგად შეუდგა ოსმალოს მთავრობის წინდახედულობას მაინც. ოსმალოს მთავრობამ სელიმ ფაშის მტრობა ისეთ მძლავრ საქმეთ მიიღეს, რომ მათ უცაბედად ამას თვითონ კი არ აუტეხეს, როგორც მათ შერიფ ფაშას უყვეს ბევრჯერ და ზარით ფაშასაც.

ოსმალოს მთავრობამ სელიმ ფაშას მოციქულები გამოუგზავნეს და შეკითხვები მისცეს თავის მოქმედების შესახებ. ეს კიდევ იყო იმის ნიშანი, რომ ოსმალოს მთავრობა სელიმ ფაშას თავის წინაშე დიდს მტრათა სთვლიდა, ამიტომ ამასთან უცებად ომისატეხა არ იქნებოდა კარგი. რაკი საქმე ასე მოეწყო და ოსმალეთის მთავრობამ სელიმ ფაშას შეკითხვა მისცეს, ამიტომ ამანაც შესაფერი პასუხი გასცა. აი ესეც არის პასუხი:

„მე ქართველი ვარ, სჯული მაქვს ისლამის და ვარ მისი ერთგული, ასევე ერთგულები არიან ყველა ქართველნი. ხოლო ჩვენ ვართ ქართველები, ჩვენი ქვეყანა არის გურჯისტანი, ჩვენი ენაც არის ქართული ენა. ასევე ჩვენ გვაქვს ჩვენებური ქართული წიგნიც.

ჩვენ არც თურქები ვართ, არც ქურთები და არც თათრები, ჩვენ ვართ ქართველები, ამიტომ ჩვენს ქვეყანაში უნდა იყოს ჩვენი ჯარი და არა თურქისა, ჩვენი ენა უნდა იყოს ქართული და არა თურქული, რადგანაც ჩვენ თურქული ენა არ ვიცით, არ გვესმის.

ოსმალოს მთავრობა ჩვენ გვინიშნავს ცუდს მოხელეებს, ცუდს ფაშებს, კაიმაკამებს, მუდირებს და სხვა ასეთებს. ამას გარდა მთავრობა თავის დამნაშავე ყაჩაღებს და ავკაცებს სულ აქ, ჩვენს ქვეყანაში გზავნის სასჯელის მოსახდელად. ამიტომ ჩვენი ქვეყანა გაივსო ოსმალოს ავი კაცებით, მცარცველებით კაცის მკვლელებით, ქურდებით და სხვა ახეთ კაცის მკვლელ ავაზაკებით.

ყველა ესენი ჩვენს ქვეყანას დიდს ზარალს აძლევენ, ქვეყანას სცარცვავენ და ნაცარცვს სულ ოსმალეთში მიაქვსთ, თავიანთ ნათესავებისათვის, ამას ჩვენ ვერ ავიტანთ, ჩვენი ასეთი ცარცვაგლეჯა ოსმალოს ჯარის კაცებისაგან არ შეიცვლება, ამიტომ მე მოვკრიფე ჩვენი ჯარი და მთავრობას ვაუწყებ საქართველოდამ თავის ქურდი ოსმალოს ჯარის გაყვანას.

თუ ეს ასე არ იქმნა, თუ ქვეყანამ არ მოისვენა, მაშინ ჩვენ გვიჯობს, რომ სულ გავწყდეთ და მოვრჩეთ ამ ტანჯვას, წამებას, ცარცვას, გლეჯას და შევიწროებას. ჩვენ ისე შეგვაწუხა თქვენმა ჯარმა, რომ მეტი გზა არა გვაქვს, ჩვენ უნდა მოვძებნოთ უკეთესი პატრონი, რადგანაც ჩვენი ასე დარჩენა არ შეიძლება.

ვინც ჩვენ პატივით მოგვეპყრობა და ჩვენ ხალხსა და მათს ოჯახს არ შეაწუხებს, ჩვენც იმათი ერთგულები ვიქნებით, იგი ვინც უნდა იყოს, გინდ მუსულმანი, გინდ გიაური. ეს ჩვენთვის ორივე ერთია. საქმე ჩვენი სიკეთე არის და ჩვენი ქვეყნის ბედნიერება. ჩვენ ერთგულები ვართ ისლამის, ჩვენის დიდის პატივსაცემის და ოსმალეთის, იგინი კი ჩვენ ტყავს გვაძრობენ და პირში სულს გვხუთავენ.

ამიტომ ვითხოვთ ჩვენის ქვეყნის სიკეთეს და შვებას. თუ ეს იქნა, მაშინ ჩვენს ერთგულებას თქვენს წინაშე აქვე არ უნდა, თუ ეს ასე არა და მაშინ ჩვენც იძულებული ვიქნებით სხვადგვარ მოვიქცეთ. ამიტომ ასე გულწრფელად ვატყობინებთ ჩვენს მთავრობას, რომ ჩვენ რამე ისლამის დალატი არ დაგვწამონ.

ასეთი პასუხები სელიმ ფაშამ ბევრჯერ მისცა მთავრობას და ამითი მან ოსმალეთის მთავრობაც დააშინა და დააფიქრა. ოსმალოთ სელიმ-ფაშას დალოდიავება დაუწყეს, ვერაფერს უშვრებოდნენ და არც თუ სიკეთე სურდათ მისთვის რამე. ამიტომ სელიმ ფაშაც ისტატურად მოქმედებდა, იგი სამზადის იყო მიცემული.

ჰკრეფდა ქართველ ჯარს, ინახავდა ჯარისთვის სურსათს, აგროვებდა საომარ იარაღს და აწყობდა ყველაფერს ოსმალოს ჯარის წინადმდეგ, ამითი იგი ოსმალოს მთავრობას და ჯარსაც არა ვნებდა. ამიტომ ოსმალნიც გატრუნებულნი იყვნენ და ხმას არა სცემდნენ. ოსმალოთ ეჩვენება მიტომ გახლდათ, რადგანაც იმ დროს ნაპოლეონ იმპერატორი რუსეთზედ აპირებდა გალაშქრებას, ოსმალნი ფიქრობდნენ, რომ რუსეთის დამხობის დროს იქნება კავკასია ჩვენ დაგვრჩებაო. საქართველოს და შემდეგ მასთან მთელის კავკასიის დაჩემებაც სელიმ ფაშისათვის უნდა მიენდოთ.

ამიტომ სელიმ ფაშას ხმას არა სცემდნენ და ქართულ ჯარის ყოველფერსაც არ უშლიდნენ, ფიქრობდნენ, რომ ეს ქართული ჯარიც ჩვენ გამოგვადგება რუსეთის დამხობის დროსაო. ამ გარემოების ცნობა დიდმა ვეზირმა სელიმ ფაშას წინათვე აუწყა, რომ ნაპოლეონის შემოსევის დროს, საქართველოს და კავკასიის დაჭერა ჩვენ გვ ნდა და ამიტომ ეს საქმე თქვენ უნდა მოგვანდოთო, თქვენ უნდა იკისროთ ამის ძლევაო.

სელიმ ფაშამაც თანხმობა აცნობა და ამით ჩააჩუმა ოსმალოს მთავრობა. სელიმ ფაშას კი სულ სხვა ფიქრები ჰქონდა და ეს საქართველოს მთავარ მართებლის ერმოლოვსაც უთხრა პირობის ძლევით, რომ მე ჩემის ქვეყნით და ჯარით თქვენ ჩამაბარებთ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ ქვეყნის გამგეთ მე უნდა ვიყო. ჯარი ჩემი მეყოლება, ენა ჯარისა და ჩვენი იქნება ქართულიო. კანონები გვექნება ისლამის და შარიათის წესითა, ყველასფერი მუსულმანურათ იქნება, ფული იქნება თქვენი, ჩვენ ვიქნებით თქვენი ერთგულებიო. მაშინ ფული ტფილისში იჭრებოდა ქართული.

სელიმ ფაშას კარგი ამხანაგი იყო ერთიც სხვა ქართველი. ეს იყო სელიმ ფაშა ყიფშიძე (ყიფიანი) და სხვებიც.

ახალი აზრი ასეთიც იყო; ქართველ ფაშებს მოლაპარაკება ჰქონდათ შირვანში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილთან, რომ ნაპოლეონის შემოსვლის დროს, ჩვენ საქართველოში რუსებს შევესევით მათ გავაძევებთ და მაშინ შენ მოდი და გამეფდი საქართველოშიო. ჩვენც შენთან ვიქნებით ისე, ეს როგორც მეფეების დროს სამცხე-საათაბაგო და ათაბაგები იყვნენო.

აი ეს ორი გეგმა იყო სელიმ ფაშა ხიმშიაშვილის მოქმედებაში სავსეთ გამხდარი, ეს ნაპოლეონის შემოსვლის დროც მოახლოვდა, ოსმალეთი რუსეთის წინააღმდეგ საომრათ სამზადისს შეუდგა. მალე მოემზადნენ და ამ ომის მთავარ სარდლათ სელიმ ფაშა ხიმშიაშვილი იქმნა დანიშნული. სულთანს სულთანის ბრძანებით ნებაც მოეცა, სელიმ ფაშამაც თანხმობა აცნობა, საქმე დაშოშმინდა.

ნაპოლეონის შემოსვლის დროს, ოსმალოს ჯარი გამოემგზავრა სამოქმედოთ საქართველოში, ამ ჯარს უნდა შეერთებოდა ქართველი ჯარი, სელიმ ფაშა იქნებოდა მათ სარდალი და ამათ ომი უნდა დაეწყოთ რუსეთის წინააღმდეგ. ეს ამბავი სელიმ ფაშამ წინათვე შეიტყო, ამაზედ იგი დიდათ დაფიქრდა, ბოლოს ასეთი ოსტატობა მოახერხა.

ერთნაირი წამალი დალია და ავათ გახდა. ამ დროს საქართველოში მოვიდა ოსმალოს ჯარი და თან მოყვენ არზრუმის ფაშა, ტრაპიზონის, ანატოლიის ბაიაზეთის და სხვა ფაშებიცა, ამითი მსგავსი სარდლობა სელიმ ფაშა ხიმშიაშვილს უნდა გაეწია, მაგრამ ეს ამ დროის ავათ იყო და ომში ვერ წავიდა, საქმე ჩაიფუშა, ვინაიდან ოსმალებმა ვეღარ გაბედეს რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრება. ამის შემდეგ სელიმ ფაშა მორჩა და ეხლა კი ამან კარგათ შეიმუშავა თავის მოქმედების გეგმა. ამის საიდუმლო გეგმა შინათ გამცეს, ქართველებმა შეიტყეს, ეს განზრახვა. ოსმალოს მთავრობას აცნობეს, დაბეზღების ბრალი შერიფ ფაშასაც ედება. ამის ცნობა სელიმ ფაშა ყიფიანმა შეიტყო თვით შერიფ ფაშა ...

ამიტომ ოსმალოს მთავრობამ ... ... წყვიტა სელიმ ფაშის ... მოკვლა და საქართველოდან გაძევება.

ამისთვის სულთანმა 1813 წ. ფირმანიც გამოსცა, — სელიმ ფაშის დასაჭერათ დიდი ძალი ჯარიც გაგზავნეს, მაგრამ ვერაფერი დააწყვეს. სელიმ ფაშამ დაამარცხა ოსმალოს ჯარი, რადგანაც იმ დროს სელიმ ფაშას ყავდა 30 ათასი ქართველი ჯარის კაცი. ამ ომში სელიმ ფაშას მოუკლეს ათასი „ქართველი“, ამან კი მოუკლა მათ 5000 ჯარის კაცი.

ზ. ჭიჭინაძე

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი — მთავარი კომიტეტი

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა სოლომონ როსტომის ძე ბლიაძეს ჩაითვალოს გაუქმებულად.
№ 318. 2—2.

**ჩვენი მერანი**
საგამომცემლო ამხანაგობა, ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულ ენაზედ. ერევნის მოედანი, აღმასკომის ქვეშ.
№ 51 3—2

**ცეკავშირის მექანიკური სახელოსნო**
(მუშტაიდთან, კოოპერაციის ქ. № 1
**განაახლა**
1. სახარატო, 2. საზეინკლო, 3. სათუნუქო, 4. სადურგლო, და 5. სამჭედლო
შეკვეთების მიღება.
იქავე სწარმოებს
**მასიური დამზადება**
საკონსერვო და სხვა კოლოფებისა, აგრეთვე ლუმელებისა.
სახელოსნოსთან არის საწყობი საკუთარ ნაწარმოებ საგნებისა:
ბარები, თოხები, ორთითები, ცულები, წალდები, სახნისი, საკონსერვო კოლოფები თეთრი თუნუქისა, ფუთიანი „ბიდონები“ თეთრი თუნუქისა, კოლოფები ფეხსაცმელების წასასმელებისათვის, ნავთით სამუშაო მოტორი 120 ძ და ლოკომობილი 18 ძ. ორივე მუშაობს.
მიმართეთ ცეკავშირის მთავარ კანტორას, შტაბის ქუჩა № 4, საწარმოო განყოფილება ან სახელოსნოების კანტორაში, დიდუბე, კოოპერაციის ქ. № 1.
№ 53. 3—2.

**ტფილისის აღმასკომის გადასახადთა ბიურო**
**აცხადებს**
რომ ვერის ბორანზე გადასვლის ფასი
ენკენისთვის 21-დან დაწესებულია
**2000 მანეთი**
№ 42. 10—9.

ტირაჟი 1000
საქართვ. უმაღ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა კრუზენშტერნის ქუჩა.